



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 2883

15/08/2019

2883-31-4-201908150953



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.თ.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი დანართის შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსს (ვ.ნადარეიშვილი).
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი, საჯაროდ გამოცხადების მიზნით, განთავსდეს მერიის ადმინისტრაციულ შენობაში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.
4. ბრძანება ამოქმედდეს მისი დამტკიცებიდან მომდევნო დღეს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი; ქ.ქუთაისი, კუპრამის ქ. №11) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

